

ქეთევან ჯაში

თარგმანის
პრაქტიკული
კურსი



თარგმნის პრაქტიკული კურსი

თარგმნა ნიშნავს გამოხატო ზუსტად და სრულყოფილად ერთი ენის საშუალებების მიერ ის, რაც უკვე გამოხატულია სხვა ენის მეშვეობით, ისე რომ არ დაირღვეს ფორმისა და შინაარსის მთლიანობა. (ფეოდოროვი - შესავალი თარგმნის თეორიაში, 1958, გვ. 11). ყოველთვის როდესაც მოხდება ფორმის ან შინაარსის დარღვევა, ეს გამოიწვევს ძალიან უხეში შეცდომის დაშვებას. ლოგიკური იქნებოდა გვეფიქრა, რომ საუკეთესო საშუალებაა სიტყვასიტყვითი თარგმანი, რადგან სხვადასხვა ენებს განსხვავებული ენობრივი სისტემები გააჩნიათ. ასეთი ტიპის თარგმანი ყოველთვის როდია შესაძლებელი. მთარგმნელმა თავი უნდა აარიდოს, როგორც უხეში შეცდომის დაშვებას, ისე სიტყვასიტყვით თარგმნას.

სწორი თარგმანის განხორციელება შეიძლება ორიგინალის სწორი გაგების შემთხვევაში. თუმცა ორიგინალის სწორი გაგება, როდესაც ნიშნავს სწორედ თარგმნას. განსაკუთრებული სირთულე ჩნდება მაშინ, როდესაც უნდა მოხდეს ორი ენის ელემენტებს შორის შესიტყვების მოძებნა. ძალიან ხშირად, თავს იჩენს ისეთი პრობლემები, როდესაც შინაარსი სათარგმნი ტექსტის გასაგებია, მაგრამ ძალიან ძნელია მისი გამოხატვა სხვა ენაზე, ანუ ძნელია მოიძებნოს ენათშორისი შესიტყვება. ამიტომაც, რომ თარგმნის სწავლებისას აქცენტი უნდა გაკეთდეს მზა ენათშორისი შესიტყვების სწავლებაზე და ჩვევის გამომუშავებაზე, მოიძებნოს ეს შესატყვისები, თუ ისინი არ არსებობს.

ის, რომ თარგმანი შესაძლებელია, მეტყველებს იმაზე, რომ ორი ენის ელემენტებს შორის შესაძლებელია არსებობდეს სრული შესატყვისი. ამა თუ იმ კონტექსტში ორი ენის ელემენტები ფუნქციურად შეესიტყვება ერთმანეთს იმ ეკვივალენტების სახით, რომლებიც თარგმნისას გამოიყენება.

ენობრივ ელემენტებს, კონტექსტის მიუხედავად სხვა ენაში შეიძლება მუდმივი ეკვივალენტები ჰქონდეს. მუდმივი ეკვივალენტებია სპეციალური ტერმინები, სიტყვა - რეალიები, საყოფაცხოვრებო სიტყვები ზუსტად განსაზღვრული მნიშვნელობით. ყველა შემთხვევაში კონტექსტი განსაზღვრავს სიტყვის მნიშვნელობას.

კონტექსტი - ესაა მეტყველების მონაკვეთი, რომელიც აუცილებელია სიტყვათა მნიშვნელობის გასაგებად და შესარჩევად. მოცულობის მიხედვით ის სხვადასხვანაირია. ძალიან ხშირად ეკვივალენტები შეიძლება განსხვავდებოდეს როგორც ლექსიკის ისე გრამატიკის დონეზე.

სიტყვის შერჩევა თარგმნის დროს

ორი ენის სიტყვებს შორის შეიძლება არსებობდეს შემდეგი ურთიერთმიმართება:

ა) მოცემულ სიტყვას მეორე ენაში ყოველთვის ერთი ვარიანტი შეესაბამება. ასეთ ურთიერთმიმართებას ეწოდება მუდმივი ეკვივალენტი. მაგალითად: Organisation des Nations Unies – O.N.U.-გაერო.

ბ) მოცემულ სიტყვას შეიძლება შეესაბამებოდეს სხვა ენაში მთელი რიგი კონტექსტუალური ეკვივალენტები, რომელთა უმეტესობაც შეიძლება არ იყოს დაფიქსირებული ლექსიკონში. მაგალითად: suffrage - საარჩევნო ხმა, მოწონება

გ) მოცემულ სიტყვას არ გააჩნია შესატყვისი სხვა ენაში. ამ შემთხვევაში მოცემულია არა თარგმანი, არამედ ახსნილია სიტყვის მნიშვნელობები. მაგალითად: désistement - საკუთარი კანდიდატურის მოხსნა სხვის სასარგებლოდ.

თარგმნისას ეს სამივე ტიპი ქმნის გარკვეულ სირთულეებს. პირველ შემთხვევაში მთარგმნელმა უნდა იცოდეს მუდმივი ეკვივალენტი. უნდა ეყრდნობოდეს საკუთარ მეხსიერებას. ხშირად მას არ აქვს უფლება თვითნებურად შეცვალოს მოცემული ტერმინის არსებული ეკვივალენტი საკუთარი თარგმანით. მუდმივი ეკვივალენტები ხშირად გამოიყენება ტერმინების, რეალიების, სხვადასხვა საგაზეთო ლექსიკის მყარი შესიტყვებების სათარგმნელად.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეკვივალენტების გამოყენებას სიტუაციის მიხედვით. ხშირად უარი უნდა ეთქვას სიტყვასიტყვით თარგმანზე, მაშინაც კი როდესაც ის არ ეწინააღმდეგება თარგმნის ენის შინაარსს, იმის გამო, რომ ენის მატარებლები სხვა ფორმას გამოიყენებენ მოცემულ სიტუაციაში.

მეორე შემთხვევაში მთარგმნელის წინაშე სხვა ამოცანა დგას. უნდა შეარჩიოს ის ეკვივალენტი, რომელიც მოცემულ კონტექსტში უფრო შესაფერისია.

მესამე შემთხვევაში, მთარგმნელ-თარჯიმანმა თვითონ უნდა მოძებნოს ეკვივალენტი, რისთვისაც მან ზუსტად უნდა იცოდეს ცნების შინაარსი, რომელიც გამოხატულია სათარგმნი სიტყვით. ამგვარად ხდება ტერმინების, რეალიების, ნეოლოგიზმების თარგმნა, რომლებიც არაა დაფიქსირებული ლექსიკონებში, რომლითაც სარგებლობს მთარგმნელი, ანდა რომლებსაც არა აქვს თარგმნის ენაში შესატყვისი.

სათარგმნი სიტყვის პოლისემანტურობა და ომონიმია. სათარგმნი სიტყვას შეიძლება მრავალი მნიშვნელობა ჰქონდეს, რომლებიც შეიძლება სათარგმნი ენაში გადმოიცეს სინონიმების მთელი რიგით. იმისათვის, რომ სწორედ ითარგმნოს სიტყვა, უნდა განისაზღვროს სიტყვის მნიშვნელობა კონტექსტში, შემდეგ გაკეთდეს არჩევანი სინონიმებს შორის. ხშირად, ორენოვან ლექსიკონებში არაა მოცემული ყველა მნიშვნელობა. ამ შემთხვევაში უნდა მივმართოთ განმარტებით ლექსიკონს. ხშირია შემთხვევები, როდესაც ლექსიკონი იძლევა საჭირო მნიშვნელობას, მაგრამ არც ერთი მათგანი არ უხდება მოცემულ კონტექსტს, მაშინ მთარგმნელი ან თარჯიმანი თვითონ ეძებს საჭირო სინონიმს, ეყრდნობა ენის საკუთარ ცოდნას. არც თუ იშვიათია, რომ სიტყვის მოცულობის მიხედვით სხვადასხვა ენების სიტყვები განსხვავდებიან. ბევრ ფრანგულ სიტყვას გააჩნია ფართო სემანტიკა, რომელიც მოიცავს მთელ რიგ სიტყვათა მნიშვნელობებს. ამ შემთხვევაში თარგმნისას გვიხდება სიტყვათა მნიშვნელობების კონკრეტიზირება.

ფრაზელოგიურ ერთეულში სიტყვა კარგავს დამუკიდებელ მნიშვნელობას და ითარგმნება მთელი გამონათქვამის შემადგენლობაში.

სიტყვა, რომლის პირდაპირი მნიშვნელობა ემთხვევა, სხვადასხვა ენებში შეიძლება არ დაემთხვეს გადატანითი მნიშვნელობით ხმარების დროს. მაგალითად: vif ნიშნავს მკვირცხლს, ხოლო vifs applaudissements - ში იგი ითარგმნება, როგორც მხურვალე აპლოდისმენტები.

სრული მნიშვნელობის მქონე და დამხარე სიტყვები. ხშირად სრული მნიშვნელობის მქონე სიტყვებს უსუსტდებათ ძირითადი მნიშვნელობა და ისინი გარდაიქმნება დამხმარე ელემენტებად, რომლებიც განსაზღვრავს და აკავშირებს სხვა სიტყვებს. ყველაზე ხშირად სუსტდება ზმნების მნიშვნელობა. მაგალითად: *Il faut connaître bien ses amis. Cette réunion a connu un grand succès. Ce projet a connu pas mal de difficultés.* სამივე წინადადება სხვადასხვანაირად თარგმნის ფრანგულ ზმნას.

მორფოლოგიური თავისებურებანი და სიტყვათა სინტაქსური კავშირები. ეს თავისებურებანი სხვადასხვანაირია და შეუძლიათ ასახონ სიტყვათა მნიშვნელობებში ცვლილებები. ასე მაგალითად, არსებითი სახელი ფრანგულ ენაში იცვლის მნიშვნელობას სიტყვის რიცხვის მიხედვით. ზედსართავი სახელი არსებით სახელთან მიმართებაში ადგილის მიხედვით, ხოლო ზმნა, პირდაპირი დამატების ქონება, არ ქონების მიხედვით.

სიტყვას გააჩნია სტილისტური თავისებურებანი. ეს თავისებურება შეიძლება იყოს ნეიტრალური, დადებითი და უარყოფითი. სტილისტური თავისებურების გადმოცემა აუცილებელია პოლიტიკური ტექსტების თარგმნისას. სხვათა შორის, მსგავსი მნიშვნელობების სიტყვების სტილისტური შეფერილობა ყოველთვის როდი ემთხვევა. ხშირად ფრანგულში ერთ სიტყვას შეესაბამება ქართულ ენაში ორი ან რამდენიმე სიტყვა, რომლებიც სხვადასხვა სტილისტური შეფერილობით ხასიათდება.

მთარგმნელი ვალდებულია კარგად შეისწავლოს შეპირისპირებით პლანში არა ცალკეული სიტყვები, არამედ სიტყვათა მთელი რიგი, რომელთაც მსგავსი მნიშვნელობები გააჩნიათ (სინონიმური რიგები). ამის ცოდნა აუცილებელია, რადგან თარგმნისას უნდა გათვალისწინებულ იქნას მთელი რიგი ნიუანსები. რომელი სიტყვა უნდა ჩაისვას და რა კონტექსტში.

თარგმნის გრამატიკული საკითხები. თარგმნისას გრამატიკულ ჩანაცვლებას ისევე ხშირად მივმართავთ, როგორც ლექსიკურს. გრამატიკული ჩანაცვლება აუცილებელია: 1) იმ კატეგორიების გამოსახატავად, რომლებიც არ არსებობს სათარგმნ ენაში; 2) თარგმანში ისეთი კატეგორიების გამოსაყენებლად, რომლებიც არ არსებობს დედანში; 3) ორ ენაში, თუ განსხვავდება ერთი და იმავე კატეგორიების ფორმები სხვადასხვა სტილისტურ ნორმების გამოყენების მიხედვით.

განსხვავება არსებობს სიტყვათა მორფოლოგიური კატეგორიების მიხედვით.

მაგალითად სიტყვის რიცხვის შეცვლა. *Dans le cadre de l'ONU* - გაეროს ფარგლებში. ფრანგულ და ქართულ ენებში განსხვავება მეტყველების ნაწილების გამოყენების მიხედვით გამოიხატება იმ შემთხვევაში, თუკი ინფინიტივს ჩავანაცვლებთ არსებითი სახელით. მაგალითად: *La grande tâche des partisans de la paix est de lutter pour l'interdiction de l'arme nucléaire* - ბრძოლა ბირთვული იარაღის აკრძალვის შესახებ, მშვიდობისმომხრეთა მნიშვნელოვანი ამოცანაა. სხვადასხვა ენაში არსებობს წინადადების აზრობრივი ცენტრის გამოყოფის სხვადასხვა საშუალება. ქართულ ენაში შეიძლება სიტყვა ჩანაცვლებულ იქნას სიტყვათა რიგით.

სინტაქსის სფეროში განსხვავება ვლინდება იმით, რომ პირდაპირ დამატებას ერთ ენაში შეესაბამება ირიბი დამატება. მაგალითად: *Rien ne peut empêcher le mouvement de libération nationale* - ვერაფერი ხელს ვერ შეუშლის ეროვნულ - განმათავისუფლებელ მოძრაობას. ან კიდევ, ერთ ენის წინადადების ერთი წევრი მეორე ენაში შეიძლება გადმოიცეს გამოთქმით, დამოკიდებული წინადადებით ანდა დამოუკიდებელი წინადადებით.

განსხვავება სიტყვათა რიგის მიხედვით. ფრანგულ ენაში პირდაპირ რიგს, შეიძლება ქართულ ენაში ინვერსია შეესაბამებოდეს.

winadadebis azrobrivi centri. Targmnisas mniSvelovania icode winadadebis azrobrivi centris gamoyofa, romelic gamonaTqamis birTvs Seicavs, es is axali informaciaa, romelsac gamoxatavs winadadeba. winadadebis erTi da imave sintaqsuris struqturis dros azrobrivi centri SeiZleba iyos sxvadasxva. logikuri gamoyofis saSualebebia logikuri maxvili da gamomyofi nawilakebi: 'es, swored es~ da a.S. frangul enaSi azrobrivi centris gamosayofad gamoiyeneba: ა) განუსაზღვრელი არტიკლი, რომელიც გამოხატავს იმას, რომ მოცემული ცნება ახალია და უცნობი. მაგალითად: Un vote a eu lieu après les débats - დებატების შემდეგ ჩატარდა კენჭისყრა.

ბ)გამომყოფი კონსტრუქციები; გ)სიტყვათა რიგი. გამოსაყოფი სიტყვა დაისმის ბოლოში; თუმცა ფრანგულ ენაში, სადაც დაცულია წინადადების პირდაპირი რიგი, ყველა წევრი როდი შეიძლება დაისვას წინადადების ბოლოში. მაგალითად, ქვემდებარე შეიძლება მოსდევდეს ზმნას თუ ეს უკანასკნელი გარადუვალია ანდა უკუქცევითი. თუ ზმნა გარდამავალია, ბოლოში შეიძლება იდგას მხოლოდ დამატება. ფრანგული ენის განსაკუთრებულ თავისებურებას წარმოადგენს ის ტენდენცია, რომ გამოიყენოს უსულო არსებითი სახელი ქვემდებარის როლში. ქართულში ასეთი სახელი უმეტესად ასრულებს დამატების ანდა გარემოების როლს. მაგალითად: Cette catastrophe a fait trois morts - კატასტროფის შედეგად დაიღუპა 3 მგზავრი.

საგაზეთო მასალის სტილისტური თავისებურებანი. საზოგადოებრივ - პოლიტიკური მასალები საკმაოდ მრავალფეროვანია, როგორც სტილიტური ისე ჟანრობრივი თვალსაზრისით. ისინი შეიძლება დავეყთ სამ ჯგუფად: დოკუმენტურ - საქმიანი მასალები (კონსტიტუცია და საკანონმდებლო აქტები, პარტიის წესდება, დიპლომატიური დოკუმენტები - ნოტები, დეკლარაციები, კომიუნიკე, ხელშეკრულებები და სხვა); საინფორმაციო - აღწერითი მასალები(საინფორმაციო შენიშვნები, საცნობარო მასალები, ისტორიული აღწერები და მიმოხილვები, მიმოხილვითი მასალები დაკავშირებული რაიმე მოვლენასთან, პრობლემურ - თეორიული სტატიები და ა. შ.); და ბოლოს, პუბლისციტური მასალები სიტყვის უფრო ვიწრო მნიშვნელობით(პოლემიკური სტატიები, პამფლეტები, გამოსვლები და სხვა).

თითოეულ ამ ჯგუფს აქვს თავისებურებები, რომლებიც თარგმნის სპეციფიურ სიძნელეებს ქმნის. პირველი ჯგუფისათვის დამახასიათებელია სპეციალური ტერმინოლოგიის, სხვადასხვა რეალიების, განსაკუთრებული მყარი შესიტყვებების სიუხვე. მთარგმნელმა უნდა იცოდეს თუ როგორ გააფორმოს მსგავსი დოკუმენტები.

მეორე ჯგუფში ბევრი სიტყვა და გამოთქმაა, რომლებიც დაკავშირებულია მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციასთან. თუ ისინი ეძღვნება რომელიმე ისტორიულ საკითხს, შეიცავს ბევრ ტერმინს, ისტორიულ რეალიებს, საკუთარ სახელებს და სხვა. ასეთი სტატიების თარგმნისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, იცნობდე იმ საკითხს, რომელსაც ეძღვნება მოცემული სტატია. ხშირად ასეთი ტიპის სტატიებში მოცემულია შეფასებისა და პოლემიკის ელემენტები, ასევე ციტატები, სხვისი გამონათქვამები.

მესამე ჯგუფი გამოირჩევა ემოციურად შეფერილი ელემენტების შედარებითი სიუხვით, რომელშიც მოცემულია ავტორის გრძნობები და იწვევს ემოციებს მკითხველსა თუ მსმენელში. ესენია: სიტყვები დადებითი თუ ურაცოვითი სტილისტური მახასიათებლებით, ხატოვანი გამონათქვამები, სინტაქსური ფიგურები, ციტატები,

ისტორიული მინიშნებები და სხვა. თარგმნისას აუცილებელია გამოხატო და გადმოსცე ტექსტის ყველა ეს ექსპრესიული თავისებურებანი.

პოლიტიკურ სტატიებში ხშირად გამოიყენება სხვადასხვა მიზნით ფრთოსანი გამონათქვამები, ციტატები. ყოველთვის უნდა მოიძებნოს ციტატის შესაბამისი თარგმანი. არ შეიძლება მთარგმნელმა თავისი სიტყვებით თარგმნოს ციტატა თუ ის რომელიმე ნაწარმოებიდანაა ამოღებული.

რაც შეეხება გრამატიკულ თავისებურებებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ არსებობს სინტაქსური ფიგურები, რომელებიც ყველაზე ხშირად გამოიყენება ორატორის მეტყველებაში, მოწინავე სტატიაში, მიმართვებში, მისალმებებსა და სხვა მასალებში.

სინტაქსური ფიგურები ეფუძნება გრამატიკული კონსტრუქციების მსგავსებასა და სიტყვების გამეორებებს. მნიშვნელოვან სინტაქსურ ფიგურებს განეკუთვნება გამეორება, პარალელიზმი, ვარიაციები.

თარგმნისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას ის განსხვავება, რომელიც არსებობს გამოსახატავ ცნებათა მნიშვნელობებში. ამას გარდა პუბლიცისტიკაში გამოიყენება ანტითეზა, რიტორიკული შეკითხვები და შეძახილები, რომლებიც თარგმნისას არ ქმნის პრობლემას.

თავი I. პოლიტიკა, დელეგაციების ჩამოსვლა, გაცილება, მოლაპარაკებები

Entente cordiale de façade entre Blair et Chirac - Le Figaro, 08.10.2005, Alain Barluet.

Union Européenne. Le premier ministre britannique, en visite hier à l'Élysée, et le président français ont mis de côté leurs différends en vue du prochain sommet des Vingt - Cinq.

Faute de pouvoir solder leurs différends, Jacques Chirac et Tony Blair ont cherché à positiver, hier, durant la grande heure d'entretien qu'ils ont eue à l'Élysée. La cordialité était de rigueur pour cette visite du premier ministre britannique destinée à préparer le conseil informel des Vingt - Cinq qui se tiendra à la fin du mois à Hampton Court, près de Londres.

"Nous sommes déterminés à être une force d'harmonie pour l'Europe de demain" et "non une force de division", a déclaré, à l'issue de la rencontre, le président de la République qui se tenait au côté du chef de gouvernement britannique. Après le double non français et néerlandais à la Constitution et un Conseil européen qui s'est déroulé à couteaux tirés, en juin, les sujets qui fâchent ont été temporairement écartés.

En brefs. Arrivées et départ.

1. Le président autrichien est arrivé à Tbilissi en visite officielle le 05 septembre 2004.
2. Le ministre de l'Éducation Nationale d'Inde arrive à Tbilissi sur l'invitation du Ministère de l'Éducation Nationale de Géorgie.
3. Le secrétaire général de l'O.T.A.N., est arrivé hier à Tbilissi, venant de Prague.
4. Le secrétaire général des Nations Unies est arrivé hier à Londres, par avion. Il résidera deux jours dans la capitale britannique.
5. Le président brésilien se rendra en visite officielle aux Etats - Unis le 9 avril prochain, annonce - t - on de source officielle. Le président brésilien a l'intention de visiter, à titre privé, différents centres industriels.

მოკლე შეტყობინებები

1. თბილისში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა აშშ - ს პრეზიდენტი.
2. ლონდონში სამდღიანი ოფიციალური ვიზიტით ჩავიდნენ იტალიის პრემიერ მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი.
3. 2000 წლის 22 დეკემბერს ინდოეთში ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა განის პრემიერ მინისტრი.
4. გუშინ მოსკოვში აშშ - ს ელჩთან სტუმრის სტატუსით ჩავიდა აშშ - ს მუდმივი წარმომადგენელი გაეროში ბატონი სმიტი მეუღლესთან ერთად.
5. ბრიტანეთის პრემიერ მინისტრმა მიიწვია აშშ - ს პრეზიდენტი ლონდონში ამა წლის ნოემბრის ბოლოს. აშშ - ს პრეზიდენტს პასუხი არ მიუწერია მიწვევაზე.

Délégations.

1. Une délégation italienne de six membres est partie aujourd'hui de Rome pour Prague. Sous la conduite de l'attaché au ministère de la santé publique, la délégation visitera diverses installations sanitaires tchèques.
2. Une mission commerciale chinoise est attendue le 30 juin prochain en Belgique où elle restera environ deux semaines. Elle comprendra des spécialistes des industries métallurgiques, chimiques et alimentaires.
3. Le 15 septembre le ministre du Commerce extérieur est arrivé à Tbilissi à la tête d'une délégation gouvernementale de la République Tchèque.
4. Le 12 octobre, la délégation géorgienne à la session de l'Assemblée générale de l'O.N.U. prend l'avion pour New York.
5. Une délégation espagnole de trois membres est partie aujourd'hui de Madrid pour Paris.

დელეგაციები.

1. საქართველოს სამთავრობო დელეგაცია გაემგზავრა ნიუ - იორკში გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაში მინაწილეობის მისაღებად.
2. 30 ივნისს თბილისში ჩამოვიდა დიდი ბრიტანეთის კულტურის მუშაკები ედინბურგის უნივერსიტეტის რექტორის მეთაურობით. დელეგაცია ჩამოვიდა საქართველოს ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვევით.
3. ბუდაპეშტში გაემგზავრა საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, სოფლის მეურნეობის მინისტრის ხელმძღვანელობით. დელეგაციის წევრები მონაწილეობას მიიღებენ უნგრეთის სოფლის მეურნეობის კონფერენციაში.
4. საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია გაემგზავრა სტრასბურგში ევროპარლამენტის სხდომაში მონაწილეობის მისაღებად.
5. თბილისში ჩამოვიდა გერმანიის სამთავრობო დელეგაცია.

La cérémonie d'investiture du nouveau président géorgien, M. Mikhaïl Saakachvili. Le 25 janvier 2004, Russie.net

Noëlle Lenoir, ministre déléguée aux Affaires européennes, représentera la France, dimanche 25 janvier, lors de la cérémonie d'investiture du nouveau président géorgien, M. Mikhaïl Saakachvili. Au cours de ce déplacement en Géorgie les 24 et 25 janvier, Mme Lenoir devrait s'entretenir avec M. Saakachvili, Mme Bourdjanadze, présidente du Parlement, M. Jvania, ministre d'État et M. Djaparidze, ministre des Affaires étrangères. A cette occasion, M. Alexandre Yakovenko fait le point sur les relations russo - géorgiennes: à la demande de Tbilissi, la Russie a accepté en mars 2001 de restructurer la dette géorgienne (157 millions de dollars) sur la base multilatérale dans le cadre du Club de Paris. La dette courante de la Géorgie envers la Russie représente 22,5 millions de dollars. La Russie considère sa coopération avec la Géorgie dans les secteurs électrique et gazier comme un facteur important de renforcement des relations bilatérales.